

ჯონ სტიუარტ მილი

სოციალიზმი

JOHN STUART MILL

SOCIALISM

გამომცემლობა აკტი
თბილისი - 2022

ავტორი: ჯონ სტიუარტ მილი
მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4239-9

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	5
შესავალი.....	9
სოციალისტური არგუმენტები საზოგადოების არსებული წესრიგის წინააღმდეგ	23
საზოგადოების არსებული წესრიგის საწინააღმდეგო სოციალური არგუმენტების შესწავლა.....	64
სოციალიზმის სირთულეები.....	87
ცვლელბადი და არა ფიქსირებული პერძო საკუთრების იდეა	117
გამომცემლობა „აბტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....	127

მთარბმნელის წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია XIX საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკური ეკონომისტის, ჯონ სტიუარტ მილის, ნაშრომი – „სოციალიზმი“.

ჯ.ს. მილის „სოციალიზმი“ მნიშვნელოვანწილად არის მარქსიზმის თეორიის პრაქტიკაში დანერგვის ვიზუალიზაციის ერთ-ერთი ადრეული მცდელობა. სოციალისტური აზროვნების ამ ადრეულ ეტაპზეც კი მილი აცნობიერებს, რომ პროლეტარიატისთვის სიმდიდრის განაწილება განაპირობებს რუტინულ მუშაობას, სადაც არც მოტივაციაა და არც სწრაფვა, თუმცა ის ვერ აცნობიერებს, რომ რუტინული მდგომარეობა სამუშაოს ხარისხს შეამცირებს. მეორე მხრივ, მილი ხვდება, რომ საკუთრების ეს თანასწორობა შეიძლება საჭირო გახდეს მართვის უნარების დეფიციტის გამო, რადგან არ არსებობს დამატებითი ბონუსები მენეჯერებისთვის. ამასთან, ის ცვლის მდგომარეობას იმის ვარაუდით, რომ ისინი, ვისაც მართვის უნარი გააჩნია, საბოლოოდ პასუხისმგებლობას იღებენ საზოგადოების ჯამური სიკეთისთვის, რომელიც თავიანთი თავისთვის სიკეთესაც მოიცავს. მილს აქვს ორი მომენტი აქვს მხედველობიდან გამორჩენილი: ერთი, რომ ადამიანებს, მათ შორის ყველაზე იდეალ-

ისტორებსაც, არაფრის კეთების მიდრეკილება აქვთ ანაზღაურების გარეშე, იქნება ის ემოციური თუ ფულადი; მეორე, მაშინაც კი, თუ ეს ქმედითი ლიდერი გადაწყვეტს პასუხისმგებლობის აღებას, ვინ იტყვის, რომ, სავარაუდოდ, ნაკლებად ქმედუნარიანი საზოგადოება მიიღებს მის ხელმძღვანელობას?

მილის სიძნელე, ან, გნებავთ, უპირატესობა, ის არის, რომ ის ყოველთვის ცდილობს და, როგორც წესი, ახერხებს ნებისმიერი საკითხის ორივე მხარის დანახვას. ის სოციალიზმის ერთობ დამაჯერებელ არგუმენტს გვთავაზობს და აშკარად დიდ სიმპათიას გამოხატავს მუშათა კლასის მიმართ. შემდეგ იგი განიხილავს სოციალიზმისა და კომუნიზმის სხვადასხვა სახეობების ყოვლისმომცველ ჩამონათვალს და ერთობ საფუძვლიანად აკრიტიკებს თითოეულს. ის ხვდება, რომ რაოდენ იდეალისტურიც არ უნდა იყოს სოციალური თეორიები, ისინი მცდარია, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური თეორია.

როგორც ჩანს, ის ადამიანის ბუნების ზოგიერთ სისუსტესაც აცნობიერებს, რისი თქმა ყველა პოლიტიკურ მოაზროვნესა თუ მწერალზე არ შეიძლება.

მთარგმნელი: დიმიტრი შანაშიაშვილი

სოციალიზმი

ჯონ სტიუარტ მილი

შესავალი

ატლანტიკის იქით მდებარე დიად ქვეყანაში, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოს თითქმის უძლიერესი სახელმწიფოა, ხოლო ახლო მომავალში უდავოდ იქცევა ასეთად, საარჩევნო უფლება დომინირებს. ასეთივეა საფრანგეთის პოლიტიკური კვალიფიკაცია 1848 წლის შემდეგ, ისევე, როგორც გერმანიის კონფედერაციისა, თუმცა არა მისი შემადგენელი ყველა სახელმწიფოსი. დიდ ბრიტანეთში საარჩევნო უფლება ასე ფართოდ გავრცელებული არ არის, მაგრამ უკანასკნელმა „კანონმდებლობის შესახებ“ ე.წ. საკონსტიტუციო ჩარჩოებში იმდენად დიდი რაოდენობა მოაქცია მათი, ვინც ყოველკვირეული ჯამაგირით საზრდოობს, რომ როგორც კი და რაოდენ ხშირადაც მოისურვებენ ეს ადამიანები, ერთად იმოქმედონ, როგორც კლასმა, და ნებისმიერი საერთო მიზნისთვის გამოიყენონ მთელი საარჩევნო ძალაუფლება, რომელსაც ჩვენი მოქმედი ინსტიტუტები უბოძებენ მათ, ისინი უკიდურესად დიდ, თუმცა არა სრულ ზემოქმედებას მოახდენენ კანონმდებლობაზე. ეს სწორედ ის კლასია, რომელსაც, მაღალი წოდების ლექსიკით, წილი არ უდევს

სახელმწიფოში. სინამდვილეში, რასაკვირველია, მათ ერთობ დიდი წილი უდევთ, რადგან მათი ყოველდღიური საზრდო მის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. მაგრამ, ისინი არ არიან დაინტერესებულნი (ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: არ არიან მოსყიდულნი) თავისი განსაკუთრებული საკუთრების დაცვით, მით უმეტეს – საკუთრებაში უთანასწორობის დაცვით. იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მათი ძალაუფლებაა გავრცელებული ან მომავალში გავრცელდება, საკუთრების კანონები უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივი ხასიათის მოსაზრებებს, მათი სარგებლიანობის შეფასებას საყოველთაო კეთილდღეობისთვის, და არა მხოლოდ პერსონალური ხასიათის მოტივებს, რომლებიც იმათ გონებებში ტრიალებს, ვინც მთავრობას აკონტროლებს.

ჩემი აზრით, ცვლილების სიდიადე ჯერჯერობით სრულებით არ არის რეალიზებული არც მათ მიერ, ვინც ეწინააღმდეგება მას, და არც მათ მიერ, ვინც უკანასკნელ საკონსტიტუციო ცვლილებას ატარებდა. სიმართლე რომ ვთქვათ, ინგლისელთა მიერ პოლიტიკურ ცვლილებათა ტენდენციების აღქმა უკანასკნელ ხანს ერთგვარად დაბლაგვდა. მათ იმდენი განხორციელებული ცვლილება იხილეს, რომელთაგან მხოლოდ პერსპექტივაში ხდებოდა დიად მოლოდინთა კვება, როგორც კეთილის, ისე ბოროტის, როდესაც რეალურად დამდგარი ორივე სახის შედეგი შორს იყო იმისგან, რაც ნაწინასწარმეტყველები გახლდათ, რომ დაეუფლათ გრძნობა, თითქოს ყველა პოლიტიკური ცვლილების ბუნება იყოს მოლოდინის დაუკმაყოფილებლობა, და ჩვევად ექცათ სანახევროდ არაც-

ნობიერი რწმენა, რომ ასეთი ცვლილებები, როდესაც ისინი ძალადობრივი რევოლუციის გარეშე ხდება, პრაქტიკულად ქვეყნისთვის ჩვეულ მდინარებას მოვლენებისა დიდად ან უწყვეტად ვერ არღვევენ. მიუხედავად ამისა, ეს არის წარსულისა თუ აწმყოს შესახებ ზედაპირული თვალსაზრისი. უკანასკნელი ორი თაობის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა რეფორმები, სულ ცოტა, ისეთივე ნაყოფიერი იყო შედეგების მხრივ, როგორც გაცემული დაპირება. წინასწარმეტყველება ხშირად არის მცდარი შედეგთა მოულოდნელობასთან, ზოგჯერ კი, შედეგთა სახეობასთან მიმართებითაც. ჩვენ გვეცინება მათ ფუჭ მოლოდინზე, ვინც ფიქრობდა, რომ კათოლიკური ემანსიპაცია დაამშვიდებდა ირლანდიას, ან ბრიტანეთის მბრძანებლობასთან შეარიგებდა. 1832 წლის „რეფორმათა კანონის“ პირველი 10 წლის დასასრულს ერთეულებილა ფიქრობდნენ, რომ ის ყველა მნიშვნელოვან პრაქტიკულ უკმაყოფილებას მოსპობდა, ან რომ ის კარს გაუღებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. მაგრამ, მისი მოქმედების კიდევ ოცდახუთმა წელიწადმა გასაქანი მისცა მისი არაპირდაპირი გავლენის ფართო გავრცელებას, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირდაპირი. უეცარი შედეგები ისტორიაში ზოგადად ზედაპირულია. მიზეზები, რომლებიც ღრმად ფესვგადგმულია მომავალ მოვლენებში, შედეგების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს უკიდურესი სიდინჯით იწვევენ, შესაბამისად კი, აქვთ დრო, რათა მოვლენათა ნაცნობი წესის ნაწილად იქცნენ, სანამ საყოველთაო ყურადღება იქნება მიპყრობილი

მათ მიერ გამოწვეული ცვლილებებისკენ; ამგვარად, როდესაც ცვლილებები ხილული ხდება, ზედაპირული დამკვირვებლები ხშირად ვერ ამჩნევენ, რომ ისინი რაიმე სახით არიან დაკავშირებულნი მიზეზთან. ახალი პოლიტიკური ფაქტის დაშორებული შედეგები იშვიათად არის გასაგები მისი ხდომილებისას, გარდა შემთხვევისა, როდესაც მისი შეფასება წინასწარ ხორციელდება.

ასეთი დროული შეფასება განსაკუთრებულად იოლია ცვლილებათა ტენდენციასთან მიმართებით, რომლებიც ჩვენს ინსტიტუტებში განხორციელდა 1867 წლის „რეფორმათა კანონის“ შესაბამისად. მნიშვნელოვანი ზრდა საარჩევნო ძალაუფლებისა, რასაც კანონი მუშათა კლასისთვის სანვდომად აქცევს, უწყვეტია. გარემოებები, რომლებიც დღემდე ამ ძალაუფლების მხოლოდ შეზღუდულად გამოყენების საშუალებას იძლეოდნენ, არსებითად, დროებითია. ყველაზე უყურადღებო ადამიანისთვისაც ცნობილია, რომ მუშათა კლასს აქვს და, სავარაუდოდ, ექნება პოლიტიკური მიზნები, რომელთა მიმართ ის მუშათა კლასს წარმოადგენს და რომლებთან მიმართებით მას, მცდარად თუ მართებულად, სწამს, რომ სხვა ძალმოსილი კლასების ინტერესები მის ინტერესებთან დაპირისპირებულია. რამდენადაც არ უნდა იყოს მის მიერ ამ მიზნებისკენ სწრაფვა დღესდღეობით შეყოვნებული საარჩევნო ორგანიზაციის არარსებობით, ერთმანეთს შორის შეუთანხმებლობით, ან იმის გამოისობით, რომ მას ჯერ კიდევ არ მიუნიჭებია თავისი სურვილებისთვის საკმარისად განსაზღვრული პრაქტიკული ფორმა, ისევე უდავოა, როგორც საერთოდ

რაიმე შეიძლება უდავო იყოს პოლიტიკაში, რომ ის მალე გამოძენის საშუალებებს თავისი კოლექტიური საარჩევნო ძალაუფლების ეფექტურ ინსტრუმენტად საქცევად მისი კოლექტიური მიზნების პროპორციულად. ხოლო, როდესაც ის ამას გააკეთებს, ეს არ მოხდება უნესრიგო და არაეფექტური გზით, რაც იმ ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი, კანონიერი და კონსტიტუციური მექანიზმების გამოყენებას რომ არ არიან ჩვეულნი, და არც გათანასწოების მარტივი იმპულსის წყალობით. ინსტრუმენტებად გამოყენებული იქნება პრესა, საჯარო შეხვედრები და ასოციაციები, ისევე, როგორც პარლამენტში დაბრუნება იმ პიროვნებათა მაქსიმალური შესაძლო რაოდენობისა, რომლებიც მუშათა კლასის პოლიტიკური მიზნების ერთგულნი არიან. თვით პოლიტიკური მიზნების განსაზღვრა კონკრეტული პოლიტიკური დოქტრინებით მოხდება; რადგან, პოლიტიკა ახლა მეცნიერულად შეისწავლება მუშათა კლასის თვალთახედვით, ხოლო ამ კლასის ინტერესებიდან გამომდინარე მიღებული შეხედულებები ორგანიზებულია სისტემებად და აღმსარებლობად, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ადგილზე პოლიტიკური ფილოსოფიის პლატფორმაზე, იმავე უფლებით, როგორც წინამორბედ მოაზროვნეთა მიერ შემუშავებული სისტემები. უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა მოაზროვნე პიროვნებამ წინდანი მიიღოს მხედველობაში, თუ სავარაუდოდ როგორი შეიძლება იყოს ეს პოლიტიკური მრწამსი და რომ მისი ყოველი მუხლი ყოველმხრივი კვლევისა და განხილვის საგნად იქცეს, ისე რომ, თუ შესაძლებელი იქნე-

ბამომცემლობა „აპტი“-ს მიერ ბამომცემული ნიშნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტიე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით
5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
10. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერის ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
26. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

27. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
28. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

29. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

30. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
31. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

32. ჯილუ კრიშნამურტი – მედიტაცია
33. ჯილუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
34. ჯილუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

35. ოშო – რა არის მედიტაცია?
36. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

37. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
38. დევიდ ლოურენსი – ფსიქონალიზი და არაცნობიერი

39. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
40. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

41. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
42. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
43. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
44. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

45. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნამბობი შვილიშვილისთვის.
ნიგნი I
46. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნამბობი შვილიშვილისთვის.
ნიგნი II
47. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნამბობი შვილიშვილისთვის.
ნიგნი III
48. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნამბობი შვილიშვილისთვის.
ნიგნი IV

49. ეკჰარტ ტოლე – ანმყოს ძალა
50. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
51. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
52. ნონა ხიდეშელი – *Carpe diem*

53. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
54. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
55. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

56. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
57. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
58. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

59. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია